საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოვიდა 1933 წელს

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№105 (6331) 1 სექტემბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პრესცენტრის ინფორმაცია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კამპანიაში საქართველოს კომპარტიის მონაწილეობის საორგანიზაციო კომიტეტი. დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ტელეფონით:93-72-82.

შეიქმნა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი

29 აგვისტოს თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში გაიმართა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა და მოძრაობათა წარმომადგენლები.

ყრილობაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ვალერიან ადვაძემ. მან დაახასიათა საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, მისცა მას კონკრეტული შეფასება, აღნიშნა რომ ახლანდელ ეტაპზე, როცა გაჩნდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური პერსპექტივები, განსაკუთრებით საჭიროა საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია მთავარი მიზნის მისაღწევად. ამის გათვალისწინებით, კავშირი ამთავითვე გამორიცხავს ყოველგვარ კონფრონტაციას სხვა პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და მოძრაობების მიმართ, ესწრაფვის მხოლოდ მათთან თანამშრომლობას საქართველოს და მისი ხალხის ინტერესებისათვის.

ყრილობამ განიხილა და მიიღო კავშირის პროგრამა და წესდება.

კავშირის წესდებაში, კერძოდ, ნათქვამია:

„საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი მიზნად ისახავს ქართველი ხალხის და მასთან ერთად საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების კონსოლიდაციას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სუვერენიტეტის მისაღწევად, ახალი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის შესაქმნელად და განსამტკიცებლად. კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებისათვის, სახელმწიფოში მაღალი ზნეობრივი იდეალების და კანონის უზენაესობის დამკვიდრებისათვის, ჩვენი სამშობლოს სამართლებრივ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის, სადაც განუხრელად იქნება დაცული ადამიანთა უფლებები, არ შეილახება ჰუმანიზმის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები“

საგულისხმოა, რომ კავშირში შეუძლიათ შევიდნენ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წევრები, ოღონდ გამგეობის შემადგენლობაში არჩევის შემთხვევაში ვალდებული არიან გამოვიდნენ პარტიიდან.

ყრილობამ აირჩია კავშირის გამგეობა ოცდაერთი კაცის შემადგენლობით.

კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ვალერიან ადვაძე.

(საქინფორმი).

მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია

29 აგვისტოს სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია.

დამტკიცდა კონფერენციის დღის წესრიგი:

გასული 1989-1990 სასწავლო წლის შედეგები და თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფის შესახებ“, რომელზედაც მოხსენება გააკეთა სახალხო განათლების განყოფილების გამგემ **დ. კოპალიანმა.**

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ორბელის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **მ. ბურჯალიანმა,** ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის დირექტორმა **რ. ბაქრაძემ,** წიფერჩის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგემ **ნ. ჭუშკუდიანმა,** ალპანის საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელმა **დ. ჩორგოლიანმა,** დამწყებმა მასწავლებელმა **ლ. ლეთოდიანმა,** ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა **ე. გოქაძემ,** რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ, სახალხო ფრონტის ცაგერის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრმა **რ. კოპალიანმა,** ცაგერის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ლ. ჩიქოვანმა.**

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ **ე. კ. გუგავამ.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განყოფილების გამგემ **ვ. ქმეშველიანმა.**

კონფერენციამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კონფერენციაზე როგორც მოხსენებაში, ისე მოკამათეთა გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირის მიმართვას, მასში დაყენებულ აქტუალურ საკითხებს. კონფერენციის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო მხარი დაუჭირონ ეროვნული ხსნის კავშირს და ყველანი გაერთიანდებიან ამ კავშირში. მთელს ძალისხმევას მოახმარენ „საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირის“ პროგრამისა და საწესდებო მოთხოვნების შესრულებას, რომელიც დაამტკიცა დამფუძნებელმა ყრილობამ.

მასწავლებელთა კონფერენციის მონაწილეთა ერთსულოვანი მოთხოვნით გადაწყდა, რომ ახალი სასწავლო წელი დაიწყოს მიმდინარე წლის **1 ოქტომბერს.**

ჩვენი დღეების ადამიანები

ბარაქა შრომაშია

საქართველოში შექმნილმა დღევანდელმა მდგომარეობამ არ შეიძლება ნორმალური აზროვნების ადამიანი არ ააფორიაქოს, სული არ შეუძრას და საერთოსახალხო საქმისთვის კეთილგონიერებით, ერთგულებით არ განაწყოს.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ ძლიერებას სოფლის მშრომელები მიწის ერთგულებაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანაში, დოვლათის და ბარაქის შექმნაში ხედავენ, რათა აღარ იქნეს ცარიელი ჩვენი მაღაზიები, ბაზარში იაფად, ხელმისაწვდომ ფასებში შეიძლებოდეს პროდუქტების შეძენა.

სწორედ მიწის ერთგულებითა ძლიერი მახაშელი კირილე მეშველიანის ოჯახი, მუშა კაცი, ბავშვობიდანვე ეზიარა მიწის, სოფლის სიყვარულს. საქმე გამოსდიოდა, მიწა ერთიორად უნაზღაურებდა გაწეულ შრომას. საზრუნავი იცოცხლე ბევრი აქვს—საკმაოდ სრული, ყველა სახის ხილითა და ვაზით სავსე კარმიდამო, 0,25 ჰექტარი სიმინდის ყანა, თითქმის ამდენივე ზვარი კოლმეურნეობისაგან იჯარითა აქვთ აღებული. ახლა გლეხურ მეურნეობაზე გადასასვლელად ემზადებიან აქაური მშრომელები, ყოველ სიახლეს შიშით და სიფრთხილით ეკიდება მშრომელი, დაფიქრებული კაცი.

სამ შვილს ზრდიან კირილე და მისი მეუღლე ამალია. ასეთი მშობლების მაგალითზე აღზრდილ შთამომავლობას არ შეიძლება სოფლისა და შრომის სიყვარული, სიკეთისაკენ სწრაფვა არ ამოძრავებდეს. ჯერჯერობით ორმა საშუალო განათლება მიიღო, მესამე მოსწავლეა. მშობლების გვერდით ტრიალებენ ზვარში, ბაღში, თუ ყანაში. 40 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს მიმღებ პუნქტს. უხვი ბარაქიანი შემოდგომის მოლოდინშია მთელი ოჯახი.

სიმრავლე და ბარაქა იყოს მეშველიანების ოჯახის ხვედრი.

ზ. არდანიანი.

როგორც იქნა ველირსეთ, მაგრამ...

ქართველს კაცობისა და ადამიანობის საზომად კარგად მოვლილი ვაზი და გემოვნებით დაყენებული ღვინო მიაჩნდა, და ამის შემდეგ განა შეიძლება ვაზის უარყოფაზე ვინმემ იფიქროს და ხელი აღმართოს მართლაც ამ სათაყვანო მცენარეზე? მაგრამ წარსულის შეცდომებმა ყველაფრის მოწმე და მონაწილე გაგვხადა.

სწორედ კილოგრამი ყურძნის დაბალმა ღირებულებამ, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმა, რომელიც ორ წელს და მეტხანს იყო მოქმედებაში ძალზე დააკნინა ჩვენი ზვრები, ბევრი მევენახე იქამდეც კი მივიდა, რომ ზვარი სასიმინდედ აქცია.—ახლა ფასების მომატება მეტად სასარგებლო საქმეა ამ მეტად საჭირო დარგის შემოსაბრუნებლად. მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს, ცაგერის კოლმეურნეობაში ყველაზე მოწინავე მევენახედ მიცნობენ, მეც არ მიმაჩნია ჩემი თავი ამ საქმეში ჩამორჩენილად, მარტო მე კი არა; მეუღლე და მთელი ოჯახიც გამუდმებით ზვარში ვტრიალებდი, ვერკვევით ვაზის მოვლის ყველა ოპერაციაში, ვუვლით 0,4 ჰექტარ ცოლიკაურის ჯიშის ზვარს. ყველაზე მოუსავლიან წელსაც კი 2,5 ტონა ყურძენს ვიწევთ, ერთ წელიწადს კი 5 ტონა მოვიწიეთ. მაგრამ გასული წლის მაგალითზე მინდა გითხრათ, ღვინის საწარმოში სამჯერ მომიხდა კოლმეურნეობის ზვარიდან ყურძნის მიტანა და ერთი და იგივე ზვარიდან მიტანილი ყურძენი პირველ მიტანაზე 15 გრადუსი ავიდა, მეორე მიტანაზე 16 გრადუსი, ხოლო მესამე მიტანაზე კი —17 გრადუსი. ახლად მომატებული ფასებით კი საბაზისო შექრიანობამ ჩვენთან 21 გრადუსი უნდა შეადგინოს რომ 1 მანეთი და 50 კაპიკი აგვინაზღაურონ, თუკი საბაზისო შაქრიანობას არ მიაღწევს, მაშინ...

ამიტომ, ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ ღვინის საწარმოს მუშაკები წინასწარ მოვლენ ზვრებში, ყურძნის შაქრიანობაზე აიღებენ სინჯს, როგორც ეს წინათ ხდებოდა და როცა მოგვცემენ უფლებას, მაშინ დავკრიფავთ ზვრებს. ამასთან უმჯობესია თუ გამოვლენ პრესაში და ფასების მომატებასთან დაკავშირებით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით კონკრეტულ ახსნა-განმარტებას მოგვცემენ.

ნ. სალინაძე,
ცაგერის კოლმეურნეობის ბრიგადირი, მოწინავე მევენახე.

ოჯახი

სინდისის შარაგზაზე

ჩვენი გაზეთის იშვიათი თემა არაა ოჯახი, მისი როლი და დანიშნულება საზოგადოებისა, და სახელწიფოს წინაშე, მაგრამ ზოგჯერ შაბლონის, სტანდარტის ჩარჩოებში ვჯდებით და მშრალი მაჩვენებლების მიღმა გვეკარგება მთავარი— ადამიანი თავისი ღირსებებით, ზნეობით, ტრადიციებით.

ოჯახის, რომელზედაც ახლა ვიამბობთ, მამა-ბოძი სერგო დავითულიანი მშვენივრად მახსოვს, ტიპიური ლეჩხუმელი გლეხი. თუთუნის გასახვევად რომ მუხლს შეასვენებდა, გულიან ლაპარაკს დაგიწყებდა, დიდხანს გაგაყვებოდა მისი სინდისნამუსით დატვირთული აზრები. ქვედა ცაგერში, სადაც ოჯახი სახლობს მთელი კუთხე ე. წ. „ნაჯიხურების" ტყის ქვედა კალთაზე ცხოვრობდა და ცხოვრობს. უბანს ახლა ურჩხულივით უტევს მეწყერი. სერგო და მისი ტოლკაცები ყოველ შემოდგომაზე მოსახლეობის ზევით, როგორც წესი, დიდ ორმოთხრილს გაიკვანძნენ მთელ სიგრძეზე. მთელი ზამთარ-გაზაფხული ჩამონადენი და გრუნტის წყლები მიუყვებოდა არხს, გზასვლილ ჰქონდა და ადამიანებს არ ელოდა საშიშროება, გულდაბალებული იყვნენ. მათ კარგად იცოდნენ მთისა და ფერდობის საიდუმლო, არც გეოლოგის რეკომენდაცია სჭირდებოდათ და არც მეცნიერის, ბუნებასთან იყვნენ შესისხლხორცებული სიკვდილ-სიცოცხლით.

წავიდნენ ამა ქვეყნიდან ასეთები და ჩვენს მეხსიერებას შემორჩნენ სამარადჟამოდ, თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მახსოვს ასეთი თაობა.

ქართული ფუძე-ოჯახის ტრადიციას საბედნიეროდ თითოოროლა მაინც აგრძელებს და ეს ერთგვარად გვაიმედებს რწმენაშემოცლილ ადამიანებს.

სერგოს მეუღლე ნინა 84 წლის ქალი, კვლავ ოჯახის დედა-ბურჯია, არც მეტი, არც ნაკლები ჭკუითა და სიდინჯით გამორჩეული ახლაც საღად მოაზროვნე შვილების, რძლების, შვილიშვილების, შვილთაშვილების ბეჯის მასწავლებელი და მოძღვარი.

მეორე თაობა—შვილი გურგენი ცაგერის კოლმეურნეობის მძღოლია რძალი ლეილა—კოლმეურნე, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

მესამე თაობა? შვილიშვილები: ნუგზარი საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მუშაა, მისი მეუღლე ხათუნა შემნახველი ბანკის ბუღალტერი, ემზარი ცაგერის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მუშაობდა წლების მანძილზე. ახლა ოჯახურ მეურნეობაშია, უმცროსი მალხაზი რუსეთში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს.

ოჯახში შესაშური თანხმობა და სიტკბოა. ყველა კერაზე დუღსო თითო ქოთანი, ნათქვამია. ამ დიდი ოჯახიდან ხმამაღალი არავის სმენია. შრომაა შინაგანი მოთხოვნილება დიდ-პატარისათვის. თუ ვინმეს ოფლითა და გარჯით რამე შეუქმნია, ამათზე ითქმის. ძლიერი, მოვლილი კარმიდამო აქვთ, დიდი გამართული ვენახი, საკუთარი და იჯარით აღებული სიმინდის ყანები. ზოგიერთები რომ ვთესდით, გურგენი და ლეილა შვილებით მეორედ თოხნიდნენ ყანებს.

დილაუთენია იწყება ამ ოჯახის სამუშაო დღე. გეგმიანად ანაწილებენ დროს სამსახურში, სათიბში თუ აბრეშუმის ჭიით მოფუსფუსე ჩელტებთან. ყველგან ერთნაირი გულისყურით იღვწიან. 40 კილოგრამი პარკი ჩააბარეს წელს ქვეყანას.

ახლა სოფლად თითქმის ყველა ბეღელ-ნალია ცარიელია, ახლის მოლოდინშია ხალხი, ძველი დაძველია. დავითულიანების მარან-ბეღელში ახლაც ბლომადაა სიმინდი და პურ-ღვინო. ჰყავთ პირუტყვი, ფრინველი. აქ ბაზარს იქით თუ შემატებენ რასმეს, თორემ აქეთ არავის შეეცილებიან პროდუქტებზე.

ლეილა, აკი ვთქვით, სასოფლო საბჭოს დეპუტატია. აქტიური, ინტერესიანი ქალი საღად მსჯელობს აქტუალურ პრობლემებზე. კარგად ესმის, რომ საბჭოების ავტორიტეტზე დიდადაა დამოკიდებული სოფლის ხვალინდელი დღე. მშრომელთა სოციალური, ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა. თვალყურს ადევნებს დღევანდელობას და თქვა თავისი გულის კარნახით: რა ვიცი,აბა, შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს, საკუთრების ფორმაც, მაგრამ უშრომლად რომ ვერას გავხდებით, ეს კი მჯერაო. კარგი ახალგაზრდები კი გვყავს, მაგრამ შრომა არ უყვართ, ესირცხვილებათ თითქოსო. მისი შვილები კი არავის უნახავს წუთიც კი უსაქმოდ, უმიზნოდ.

ამ დღეს, წმინდა მარიამის დღესასწაულობის დღეს, ეკლესიისკენ მიიჩქაროდა. ოჯახს ძველთაგან მოდგამს ლოცვა-კურთხევის მადლი მშობელი მიწისა და ფუძის.

სალოცავი ბევრი აქვს დღეს ქართველ ქალსა და დედას. აი ანთო ერთი, მეორე, მესამე... სანთელი, იღვენთება, იცრემლება, სანთელი, დაჩოქილი შეჰღაღადებს ღმერთს, ყოველ წმიდას მამული მიცოცხლე, მიეც სიმშვიდე, სიხარული, შვილებსო...

ამინ, ჩაესმის ხმა იდუმალი.

მეოთხე თაობა? პატარა დავით დავითულიანი ჯერ საბავშვო ბაღშია. ვარდისფერ ღრუბლებში მონანავე ბიჭი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს ხვალინდელი მოქალაქე. წინაპართა შრომითა და სინდისით გავლილ შარაგზაზე შემყვარი—ხვალის იმედად, მზედ და შვებად.

მ. გურული.

კანონს დამუშავება

ს ჭ ი რ დ ე ბ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანაში მიმდინარეობს განხილვა სსრ კავშირის კანონის პროექტისა „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ". საკავშირო კორესპონდენტმა სთხოვა ჟურნალ „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავოს" მთავარ რედაქტორს პროფესორ კ. თ. შერემეტას განმარტა ამ კანონის უმნიშვნელოვანესი დებულებები.

—სახალხო დეპუტატის საქმიანობაზე ამომრჩეველთა კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი გარანტია მისი გამოწვევის უფლება.—თქვა მან.

პრესაში, სამეცნიერო ლიტერატურაში, დეპუტატთა წრეში წამოიჭრა საკითხი მსგავს ღონისძიებათა მიზანშეწონილობის შესახებ. საქმე იმაშია, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არ არსებობს ასეთი ინსტიტუტი იმ სახით, როგორითაც ის ჩვენში. ითვლება, რომ დეპუტატი, თუ იგი არჩეულია, გამოხატავს მთელი ერის ინტერესებს და მისი გამოწვევა შეუძლებელია, გარდა ისეთი შემთხვევისა თუ იგი დანაშაულს ჩაიდენს.

მინდა ავღნიშნო შემოთავაზებული კანონის დადებითი მხარეები. უპირველეს ყოვლისა, თვით გამოწვევის კონცეფცია პრინციპში შეესაბამება არჩევნების კონცეფციას, ესეიგი გამოწვევა ხდება აგრეთვე საყოველთაო თანაბარი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, დახურული კენჭისყრით, მეწხედველობაში მაქვს ეროვნული და ეროვნულ-ტერიტორიული ოლქების არჩევნების ვარიანტი. აქამდე არსებობდა ამომრჩეველთა კრებებზე ღია კენჭისყრით გამოწვევის პრაქტიკა.

დადებითი მხარეა აგრეთვე განსაწვევი სუბიექტების რეგულირება, ვინაიდან ასეთი ინიციატივა სამართლებრივი ურთიერთობის მხრივ ადეკვატური უნდა იყოს სახალხო დეპუტატის წამოყენების ინიციატივასთან.

შემდეგი დადებითი მომენტი —დეპუტატის უფლების გარანტის შექმნა როცა იხილება წინადადება მისი გამოწვევის შესახებ, აგრეთვე გამოწვევის მხარდასაჭერი და საწინააღმდეგო აგიტაციის შესაძლებლობა. მიმაჩნია, რომ კანონში ეს დებულება უნდა გაძლიერდეს.

ვითვალისწინებთ, რომ ეროვნული, ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან სახალხო დეპუტატების არჩევის პროცედურები არსებითად განსხვავდებიან, და არ შეიძლება მათი გაერთიანება კანონის ერთ მუხლში. მე მგონია, რომ კანონში ორივე შემთხვევაში (გარკვეულად უნდა იყოს გამიჯნული დეპუტატის გამოწვევის სამართლებრივი სტატუსი.

შემდეგ მიმაჩნია, რომ ყველა გარანტია, რომლებიც წარმოდგენილია კანონში სახალხო დეპუტატის შესახებ პერიოდში როცა იხილება საკითხი მისი გამოწვევის თაობაზე, ერთ მუხლში უნდა გაერთიანდეს.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ კანონის პროექტში გამოწვევის წესი უფრო რთულია, ვიდრე სახალხო დეპუტატის არჩევის არსებული წესი. აქ გამოჩნდა ამომრჩეველთა კონფერენცია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გამოწვევის შესახებ საკითხის დასმის მიზანშეწონილობის შესახებ. ასეთი კონფერენციები ხომ არ ეწყობა კანდიდატთა დასახელების დროს. ეს დამატებითი საფეხური ბევრად გაართულებს გამოწვევის პროცესს.

ჩვენი სოფლის ადამიანები

ნანული ფუტკარაძე ნასპერის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარია, ოთხი შვილის დედაა, კარგი ქალი და კარგი მეზობელი. ამავე დროს მუყაითი მშრომელია სოფლის საქმეს განზე არც არასოდეს გასდგომია და მით უფრო ახლა, როცა მან

გულის

კარნახით

კულტურის მუშაკმა კი არა, ნებისმიერმა ქართველმა კარგად იცის, რომ დღეს საქართველოს ერთგულება შრომით უნდა დავუმტკიცოთ, შრომითა და წრფელი სიყვარულით.

სოფელ ღვირიშში დიდი ხანი არაა კოლმეურნეობის საერთო კრება ჩატარდა. ერთხმად გადაწყვიტეს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა მშრომელებმა. ეს სწორი და ერთადერთი გამოსავალია ზარალიან მთის კოლმეურნეობებში. მიწასაც დაეტყო უკვე, რომ პატრონი ჰყავს, ნამდვილი პატრონი, მტკაველი რაა. ვერ ნახავთ სოფლად შემოუკავებელს, მიტოვებულს, გაუყებულს. ნანულის ოჯახსაც შეუძლია მეტი დაინტერესებით იშრომოს. სიმინდს მოიწევს, ხილს თუ მეცხოველეობის პროდუქტებს აწარმოებს ან ჩააბარებს ან გაყიდის. ამით ხელს შეუწყობს საერთო დოვლათის დაგროვებას.

წელს ნანულიმ აბრეშუმის ჭიასაც მოუარა. მოვლაც არის და მოვლაც—მთელი ოჯახი ჩააბა აბრეშუმის პარკის, ამ ძვირფასი სამრეწველო ნედლეულის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. მონდომება და პერსონალური პასუხისმგებლობა ბევრს ნიშნავს—80 კილოგრამი პარკი მოიწია და იმათ გვერდით დადგა, ვინც განაპირობა რაიონში 20,5 ტონა აბრეშუმის პარკის დამზადება.

შრომობს 4 შვილის დედა, შრომობს პატიოსნად, ქალური სინდისითა და გულის კარნახით.

რას გვპირდება ახალი

არსებითი ხასიათის სიახლეებია ინვალიდობის პენსიის დანიშვნის საქმეში. გათანაბრებულია აღნიშნული პენსიის დასანიშნად საჭირო ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟის ხანგრძლივობა ქალებისა და მამაკაცებისათვის.

ხელფასის 55 პროცენტის ოდენობით დაენიშნებათ პენსია I და II ჯგუფის ინვალიდებს, ასევე გათანაბრებულია მათი პენსიის მინიმალური ოდენობაც. მე-3 ჯგუფის ინვალიდებს პენსია ენიშნებათ ხელფასის 30 პროცენტის ოდენობით, ხოლო მინიმუმი შეადგენს მინიმალური ხელფასის 50 პროცენტს.

—ყველა I ჯგუფისა და მე-2 ჯგუფის იმ მარტოხელა ინვალიდებისათვის, რომლებიც სხვის დახმარებას საჭიროებენ, გათვალისწინებულია დანამატის დაწესება მოვლისათვის სოციალური პენსიის ოდენობით.

მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში პენსიის დანიშვნისას კანონი განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს შრომისუნარო შვილებს. მათ პენსია დაენიშნებათ ამის მიუხედავად, იმყოფებოდნენ თუ არა გარდაცვლილის კმაყოფაზე. ამასთან შვილებს, დებს, ძმებს და შვილიშვილებს, რომლებიც აგრძელებენ სწავლას უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მარჩენალის გარდაცვალების გამო დანიშნული პენსია მიეცემათ ამ სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 23 წლის ასაკამდე.

ახალი კანონი ხსნის შეზღუდვებს მეუღლისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის დროს. ასეთი პენსია მეუღლეს დაენიშნება იმის მიუხედავად, თუ როდის დაკარგა შრომის უნარი მარჩენალის დაკარგვიდან 5 წლის გასვლამდე თუ 5 წლის გასვლის შემდეგ. ამავე დროს მეუღლეს პენსია შეიძლება დაენიშნოს კმაყოფის მიუხედავად, თუ მან დაკარგა არსებობის წყარო.

მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსია ოჯახის თითოეულ შრომისუუნარო წევრს ენიშნება მარჩენალის ხელფასის 30 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ სოციალური პენსიის ოდენობისა, ხოლო უდედმამო ბავშვებისათვის არა ნაკლებ სოციალური პენსიის ოთხჯერადი ოდენობისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის სტაჟის გამოანგარიშებისას კანონით გათვალისწინებული სიახლე. ასე მაგალითად, შრომის სტაჟში ჩაითვლება:

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლის პერიოდი მიუხედავად იმისა, სწავლას წინ უძღოდა თუ არა მუშაობა, ყველა I ჯგუფის ინვალიდის ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვის, აგრეთვე 80 წელს მიღწეული მოხუცის მოვლის დრო, არამომუშავე დედის მიერ მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის პერიოდი, მაგრამ არა უმეტეს თითოეული ბავშვის 3 წლის ასაკამდე, სულ 6 წლის ფარგლებში. ქ. ლენინგრადში სამამულო ომის დროს ბლოკადის პერიოდში მუშაობა შრომის სტაჟში ჩაითვლება სამმაგი ოდენობით, ასევე სამმაგად ჩაითვლებათ სტაჟში პატიმრობისა და გადასახლებაში ყოფნის პერიოდები უსაფუძვლოდ რეპრესირებულ და შემდგომში რეაბილიტირებულ პირებს.

ახალი კანონი ძალაში ტოვებს მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიების გადაანგარიშების წესს ორი წლით უფრო მაღალი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი" №104.

2 სექტემბერი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღე

25 წლის წინათ დაინერგა ჩვენს რაიონში თხევადი გაზით მომსახურება. ამ ხნის მანძილზე მან პრაქტიკულად დაამტკიცა თავისი სასიცოცხლო მნიშვნელობა. აღნიშნულ პერიოდში რაიონში დაიზოგა ათი ათასობით კუბური მეტრი შეშა და სხვა სათბობ-ენერგეტიკული მასალები.

„ცაგერრაიგაზის" სამმართველო თხევადი გაზით მომსახურებიდან მომხმარებლების თანხას. ამის შესახებ გაზეთ „ლეჩხუმის" მიმდინარე წლის 5 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „აბონენტი რომ კმაყოფილი გვყავდეს" იყო ლაპარაკი, მაგრამ დღემდე თავი არავის შეუწუხებია. ამასთან სიძნელეებს ვაწყდებით მოსახლეობიდან შესაცვლელი ბალონების ღირებულების ამოღების საქმეშიც.

პრობლემებს პრიზმაში

ბას უწევს 6400 მომხმარებელს. წინა წლებში მომხმარებელი შეუფერხებლად მარაგდებოდა თხევადი გაზით, მაგრამ როგორც ცნობილია ყველა სიკეთეს თან სდევს სიძნელეები და პრობლემები. რესპუბლიკაში ბოლო პერიოდში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ, ბენზინის ნაკლებობამ დიდად შეაფერხა მოსახლეობის თხევადი გაზით მომარაგება.

მომხმარებელი, რომ კმაყოფილი, მადლიერი გყავდეს მათ კეთილსინდისიერად უნდა ემსახურებოდე, არ უნდა იყოს წყვეტილობა თხევადი გაზით მომარაგებაში. ეს ამოცანა, რომ შევასრულოთ ამისათვის საჭირო პირველ რიგში მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნა, რომელიც ჩვენს სამმართველოს არ გააჩნია, ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ „ცაგერრაიგაზის" სამმართველოს არ აქვს ანგარიში ბანკში და ყველა შემოსავალი რიცხება ტრესტ „ამბროლაურგაზის" ანგარიშზე. ისინი, რომ იტყვიან, ნარჩენებს ძლივს გამოიმეტებენ ჩვენი სამმართველოს ეკონომიკის განმტკიცებისათვის, ასევე გერის როლში ვართ ბენზინზე, ავტომანქანების სათადარიგო წილებზე და სხვა.

ტრესტ „ამბროლაურგაზის" მიერ ბენზინითა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში შექმნილი სიძნელეების შედეგია, რომ ხშირია შეფერხებები თხევადი გაზით მოსახლეობის მომარაგების საქმეში, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ზემოთ აღნიშნულ სიძნელეებსა და პრობლემებს ემატება ისიც, რომ რაიონის რიგი სამეურნეო ორგანიზაცია და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, რომლებსაც მომსახურებას უწევს ჩვენი სამმართველო, მიუხედავად არა ერთი შეხსენებისა არ სიცხვილია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი თხევადი გაზით მოსარგებლე აბონენტი მალავს სათადარიგო ბალონებს, რომ არ გადაიხადოს 3 მანეთი, ზოგიერთი კი დროულად არ იხდის ამ თანხას, რის გამოც სამმართველოს ხელი ეშლება დროულად შეიძინოს ახალი ბალონები ამორტიზებული ბალონების შესაცვლელად.

ხვალ ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღეა. ამ დღესასწაულს ჩვენი სამმართველოს მუშაკები ყოველწლიურად მაღალი მაჩვენებლებით ვხვდებოდით. მეტად სწყენია და დასანანი, რომ ყოველთვის მაღალი შედეგების მქონე კოლექტივს მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა 92,2 პროცენტით გვაქვს შესრულებული. ბუნებრივია, ასეთი შედეგი განაპირობა ზემოთ ჩამოთვლილმა სიძნელეებმა, მაგრამ ჩვენმა შრომითმა კოლექტივმაც ვერ იმუშავა ისე, როგორც საჭირო იყო.

სამმართველოს, მისი შრომითი კოლექტივის მიზანია თავი დავაღწიოთ შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციას. ამის მიღწევის საშუალებად მიგვაჩნია შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცება, რეზერვების გამონახვა-გამოყენება, ამასთან აუცილებელია „ცაგერრაიგაზის" სამმართველოს ჰქონდეს ისე, როგორც წინა წლებში ჰქონდა, საკუთარი ანგარიში ცაგერის აგრომრეწვბანკში, თვითონ იყოს თავისი შემოსავლების ბატონ-პატრონი და ჩვენ გვქონდეს საშუალება თვითდაფინანსების ახალი ფორმირებების ნორმალურად გადაწყვეტისა, რომ ტრესტ „ამბროლაურგაზის" ხელებზედ არ ვიყოთ მიჩერებული.

თ. ჩაკვეტაძე.
„ცაგერი რაიგაზის" სამმართველოს უფროსი.

მადლობის პარათეები

სარედაქციო ფოსტაში არაერთ სამადლობელ წერილს იპოვით რაიონის მედიცინის მუშაკთა მისამართით. წერილთა ავტორები გვიამბობენ მათ შესახებ, ვინც პროფესიული გამოცდილებით, გულისხმიერებით დროულად უმკურნალათ, ჯანმრთელობა გაუხანგრძლივათ, მხნეობა შემატათ.

ცაგერში მცხოვრები **თამარ აკაკის ასული ბენდუქიძე** აგვიწერს რა თავისი ავადმყოფობის მდგომარეობას, იქვე გვაცნობებს რომ მცირე მეზობლების ს. ღურჭუმალიძისა და მ. ყურაშვილის მიერ სასწრაფოდ გამოძახებულმა ექიმმა **მირანდა სილაგაძემ** და ექთანმა **ლ. ბანძელაძემ** მძიმე ავადმყოფს პირველი დახმარება გაუწიეს. ქირურგ **ალუდა ზურაბიანის** რჩევით ავადმყოფი რაისაავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გაეწია კვალიფიციური მკურნალობა. რის შედეგაც თამარ ბენდუქიძის ჯანმრთელობა გაუმჯობესებულა. წერილის დასასრულს თ. ბენდუქიძე წერს: „გმადლობთ **ალუდა ზურაბიანო, მირანდა სილაგაძევ, ლ. ყურაშვილო, ნ. ჭაბუკიანო, ვ. ჩაჩხიანო ლ. გუგავა, მ. ხეცურიანო** გმადლობთ ჩემი სიკვდილისაგან ხსნისათვის".

ტეიშის საშუალო სკოლის პედაგოგ **ნიკოლოზ ასათიანის** მიერ გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ „ბევრი კარგი მსმენოდა ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს კოლექტივის, ერთსულოვანი, ენერგიული და პასუხისმგებლური მუშაობის შესახებ, რაც უშუალოდ ჩემი მკურნალობის პროცესშიც ვიგრძენი.

მომდინარე წლის 10 მაისს აღნიშნულ საავადმყოფოში მიმიყვანეს ძალზე მაღალი წნევით. ექიმებმა **კ. ვიბლიანმა და ზ. ახვლედიანმა** მიმიღეს გულთბილად, ყურადღებით გამსინჯეს და გამიწიეს სათანადო მკურნალობა. ჩამიტარდა ყოველმხრივი ანალიზური გამოკვლევა. დამინიშნეს მკურნალობა, რომელიც პროფესიული ცოდნით ჩაატარეს ექთნებმა: **მ. ონიანმა, ნ ლაკვეხელიანმა ნ. აბაშიძემ, მ. მინდაძემ ე. გვიშიანმა, ზ. ახვლედიანმა".**

ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ექიმის **ეთერ ბარაბაძის** მკურნალობის მეთოდით მადლიერია **შურა თვარაძე,** რომელიც გვწერს: „კუჭ-ნაწლავის დაავადება მქონდა. ერთი თვის განმავლობაში ვმკურნალობდი თბილისში. სამწუხაროდ, მკურნალობას შედეგი არ მოჰყოლია. ცაგერის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ ეთერ ბარაბაძეს მივმართე. ექიმმა სწრაფად გამოიკვლია ჩემი ავადმყოფობის მიზეზი. მის მიერ გამოწერილი წამლები ეფექტური აღმოჩნდა. განვიკურნე. ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და დიდი მადლობელი ვარ ეთერი ექიმის".

„მადლობის ღირსნი არიან" ასე დაუსათაურებია თავისი წერილი აღველ **ნ. ახვლედიანს,** რომელიც აგვიწერს თავის მდგომარეობას ავადმყოფობის პროცესში და მადლიერებით იხსენებს მათ, ვინც მაღალი წნევით დაავადებულს პირველ მშველელად მეგულება: „სისხლის ტენა ძლიერი მქონდა. გაძლიერებული მქონდა. ძალიან ძლიერი დახმარება. მაგრამ სისხლის დენა არ შემიჩერდა. რეზო ბობოხიძემ და მურად ჩიქოვანმა რაისაავადმყოფოს სასწრაფო განყოფილებაში მიმიყვანეს ღამის 2 საათზე. ექთანმა **ბაბი შკუბულიანმა** ყველა სამედიცინო ღონისძიება იხმარა და დაახლოებით 15 წუთის შემდეგ სისხლდენა შემიჩერდა. მეორე დღეს ექიმებმა განაგრძეს მკურნალობა, რათა დაკარგული სისხლი აღმედგინა. წნევაც ნორმალური ყოფილიყო. მკურნალობას წარმართავდნენ ექიმები: **ლია გუგავა, მირანდა სილაგაძე, ვენერა ჩაჩხიანი, მურმან თოთაძე.** კარგი დახმარება გამიწიეს აგრეთვე მედდებმა: **ც. კუხალაშვილმა, ლ. ნემსაძემ თ. გასვიანმა, ე. კობერიძემ ლ. ხეცურიანმა,** მათი უანგარო მკურნალობითა და დახმარებით ამჟამად თავს უკეთესად ვგრძნობ. მადლობა ყველას, ვინც ჩემს გადარჩენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო".

მკურნალისათვის უდიდესი ჯილდოა პაციენტის მადლიერების გრძნობით გამოთქმული ყოველი სიტყვა. წერილი რომელიც გამოხატავს ექიმთა ერთგულებას მედიცინის საპატიო საქმისადმი, ღრმა პროფესიულ ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებას, თანგრძნობას, გულისხმიერ დამოკიდებულებას პაციენტის ტკივილისადმი. ემრავლოს ჩვენი გაზეთის სარედაქციო ფოსტაში რაიონის მედიცინის მუშაკთა მისამართით სამადლობელ ბარათებს.

აგრარულ დემოკრატიული კავშირი

სასოფლო სამეურნეო პროდუქტების აშკარა უკმარისობისას ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებით მისი გაჭუჭყიანების შემთხვევებმა თანდათან უფრო იმატა. იმის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რათა მთლიანად აღმოფხვრათ ეს საშიში ტენდენცია—მოსახლეობისათვის მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებაში იკისრეს მეცნიერებმა და სპეციალისტებმა. გახდნენ ინიციატორები ახალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციისა. ეს არის საქართველოს აგრარულ-დემოკრატიული კავშირი, რომლის დამფუძნებელი კრება გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ახალი კავშირის—დემოკრატიული, სახალხო ორგანიზაციის—მთავარი მიზანი უნდა იყოს გადასამუშავებელი წარმოების უზრუნველყოფა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით, ნედლეულით, მოსახლეობის მომარაგება ფართო ასორტიმენტის სრულფასოვანი პროდუქციით. ამ მიზნით შემოთავაზებული იყო დასაწყისისთვის რესპუბლიკის დედაქალაქის რომელიმე მეზობელ რაიონში შეექმნათ ეტალონური სასოფლო-სამეურნეო საწარმო.

საპენსიო კანონი

ხელფასიდან, მაგრამ ამჟამად მოქმედი წესისაგან განსხვავებით, გადაანგარიშება ხდება არა მარტო იმ უფრო მაღალი ხელფასიდან, რაც პენსიონერს პენსიის დანიშვნის შემდეგ ორი წლის განმავლობაში ჰქონდა, არამედ გადაანგარიშებისათვის მიმართვამდე უკანასკნელი 5 წლის გამომუშავებიდან.

ხელფასში, — საიდანაც პენსია გამოიანგარიშება, შეთავსებისათვის შრომის ანაზღაურება მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ძირითად სამუშაოზე მიღებულ ანაზღაურებასთან ერთად არ აღემატება მინიმალური ხელფასის ოთხჯერად ოდენობას.

კანონი არსებით სიახლეს ითვალისწინებს პენსიების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესში. სახელდობრ, საჩივრები საპენსიო საკითხებზე განიხილება როგორც სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში, ისე სახალხო სასამართლოში, რაც სრულიად მოულოდნელი სიახლეა, ვინაიდან იგი საპენსიო კანონის პროექტითაც კი არ იყო გათვალისწინებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შრომით პენსიების გარდა ახალი კანონი ითვალისწინებს პენსიის სრულიად ახალ სახეს, ე. წ. „სოციალური პენსიების" შემოღებას, ასეთი პენსია დაენიშნებათ არამომუშავე მოქალაქეებს, რომლებმაც შრომითი პენსიის უფლება ვერ მოიპოვეს:

ა. I ჯგუფის ინვალიდებს, I და II ჯგუფის ბავშვობიდან ინვალიდებს და ინვალიდ ბავშვებს 16 წლის ასაკამდე—მოხუცებულობის პენსიის მინიმალური ოდენობის 100 პროცენტი (დღეის მდგომარეობის 70 მანეთი).

ბ. II ჯგუფის ინვალიდებს (ბავშვობიდან ინვალიდების გარდა), პირებს, რომელთაც შეუსრულდათ მამაკაცებს—65, ხოლო ქალებს 60 წელი, ბავშვებს—მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში თითოეულ ბავშვზე—მოხუცებულობის პენსიის მინიმალური ოდენობის 50 პროცენტი.

გ. III ჯგუფის ინვალიდებს—მოხუცებულობის პენსიის მინიმალური ოდენობის 30 პროცენტი.

სოციალური პენსიების დანიშვნისა კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შეღავათს გმირი დედების მიმართ და ადგენს, გმირი დედის სოციალური პენსიის ოდენობა ყველა შემთხვევაში (მაშინაც კი როდესაც იგი III ჯგუფის ინვალიდია) არ შეიძლება იყოს ასაკის პენსიის მინიმალური ოდენობის 100 პროცენტზე ნაკლები.

ახალი საპენსიო კანონის შესაბამისად, მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფაში შესულია სხვა მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებანი. ცალკე თემაა, თუ გნებავთ, სსრ კავშირის 1990 წლის 28 აპრილის კანონი სამხედრო მომსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, შეღავათიანი პენსიები, პენსიები წელთა ნამსახურების გამო, პენსიის გაცემა და სხვა).

ამიტომ იმ პირებს, რომლებიც წერილის წაკითხვის შემდეგ, სრულყოფილად ვერ გაერკვევიან ახალ კანონთან დაკავშირებულ მათთვის საინტერესო საკითხებში, ვურჩევთ კონკრეტული განმარტებისათვის მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ირინე ღლონტი.

რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საორგანიზაციო მეთოდური მუშაობისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი.

№105 (6331) 1 სექტემბერი, 1990 წ.

ქოლერა

ექიმი გვარჩევს

საქართველოს მოსაზღვრე სტავროპოლის მხარეში რამდენიმე კვირის წინ აღირიცხა სასმელი წყლის დაბინძურებით გამოწვეული ქოლერის შემთხვევები. საშიშ ზონაში იმყოფებოდა 21 ქართველი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქოლერას ახასიათებს მიდრეკილება ეპიდემიური და პანდემიური გავრცელებისაკენ, ადვილად წარმოსადგენია, რა საშიში სიტუაცია შეიქმნა გარკვეულწილად საქართველოშიც.

ლიტერატურაში აღწერილია ქოლერის ექვსი ეპიდემია, I—1816 წელს, II—1828 წელს, III—1844 წელს, IV—1883-1896 წლები. პანდემია დაიწყო არაბეთიდან მექაში სალოცავად ჩამოსული ინდოელი მუსულმანი მლოცველების გამო 1900-1926 წლებში. ზემოაღნიშნული ექვსი პანდემია გამოწვეული იყო ქოლერის კლინიკური ვიბრიონით. ეპიდემიურ პროცესში ჩართული აღმოჩნდა 4,5 მილიონი კაცი, რომელთაგან 2 მილიონი გარდაიცვალა. 1905 წელს სინაის ნახევარკუნძულზე, საკარანტინო სადგურ ელ-ტორზე მუსულმანების განავალში აღმოაჩინეს ქოლერის ვიბრიონის მეორე ბიოტიპი, რომელსაც ელ-ტორის ვიბრიონი უწოდეს. დასაწყისში ეს ვიბრიონი გვხვდებოდა მხოლოდ ინდონეზიაში, სადაც იგი ქოლერის მსუბუქ შემთხვევებს იწვევდა. 1961 წლიდან დაიწყო მეშვიდე პანდემია, რომელიც სწორედ ამ ვიბრიონით იყო გამოწვეული. ამჟამად ქოლერის შემთხვევების 80 პროცენტი გამოწვეულია ელ-ტორის ვიბრიონით.

ქოლერის ვიბრიონი კარგად უძლებს გაყინვას, დუღილი მას კლავს 1 წუთში, მგრძნობიარეა მჟავეების და სადეზინფექციო ხსნარების მიმართ. თუ წყალში ქლორის კონცენტრაცია 0,2-0,3 მილიგრამი ლიტრაშია ვიბრიონები რამდენიმე წუთში იღუპებიან.

ქოლერის ვიბრიონი კარგად ინახება წყალში, მდინარის შლამში და თბილ ამინდში შეიძლება გამრავლდეს კიდეც, რაც ხელს უწყობს ქოლერის ეპიდემიურ გავრცელებას. გარემოში უფრო გამძლეა ელ-ტორის ბიოტიპი, კლასიკურ ვიბრიონთან შედარებით.

ქოლერის ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი ან ვიბრიონ მატარებელი, რომლებიც ვიბრიონს განავალთან ერთად გამოყოფენ და აბინძურებენ გარემოს. ჯანმრთელი ადამიანის დასნებოვნება ხდება დაბინძურებული წყლის ან საკვები პროდუქტების მიღებისას.

ქოლერით ავად ხდება ყველა ასაკის ადამიანი, მაგრამ განსაკუთრებით მაღალია მიმღებლობა იმ პირებში, რომელთაც აღენიშნებათ კუჭის წვენის მჟავიანობის დაქვეითება. ავადობის მატება ხდება ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში, რაც აიხსნება გადაცემის გზების და ფაქტორების გააქტივებით.

პირის ღრუდან დაბინძურებული ფაქტორი მოხვდება რა კუჭში, კუჭის მჟავე წვენის მოქმედებით ნაწილი ვიბრიონებისა იღუპება, ხოლო ნაწილი გადადის წვრილ ნაწლავში, სადაც გამოყოფენ ეგზოტოქსინს, რომლის მოქმედების საბოლოო შედეგია წყლისმაგვარი ფაღარათი, მოგვიანებით კი შეუპოვარი ღებინება.

ინკუბაციის პერიოდი 1-დან 6 დღემდეა. დაავადება იწყება უეცრად, ფაღარათით. ნაწლავების მოქმედების სიხშირეზეა დამოკიდებული დაავადების სიმძიმე და მერყეობს 3-დან 20-მდე დღე-ღამეში, ზოგჯერ კი იმდენად ხშირია, დათვლა არ ხერხდება. გამონაყოფში თავიდან აღინიშნება განავლოვანი მასები, მოგვიანებით კი ბრინჯის ნახარშს ჰგავს. ღებინება იწყება ფაღარათის შემდეგ. დასაწყისში პირნაღებში არის საკვების ნარჩენები, შემდეგ ისიც ბრინჯის ნახარშის მსგავსია.

იშვიათადაა მუცლის ტკივილი, დიდი ოდენობის სითხის დაკარგვისას ავადმყოფი უჩივის სისუსტეს, თავბრუს ხვევის პირის სიმშრალეს, წყურვილს, კანი მშრალია. მოლურჯო ელფერის, ხმა—ჩახლეჩილი, წნევა—დაქვეითებულია, შარდის გამოყოფა მცირდება. თუ ადამიანმა სხეულის წონის 10 პროცენტზე მეტი სითხე დაკარგა, ორგანიზმის გამოშრობის სიმპტომი მკვეთრად გამოხატული ხდება—დაუოკებელი წყურვილი, პირის სიმშრალე, ლურჯი ფერის კანი, ხელისმოკიდებით წარმოქმნილი ნაოჭები დიდხანს არ სწორდება, ხელისგულები დანაოჭებულია. ავადმყოფს აქვს ქოლერასათვის დამახასიათებელი გამომეტყველება — ჩავარდნილი თვალები, მის გარშემო კანის ნაოჭი—„მუქი სათვალის" სიმპტომი. ტუჩები, ყურები, ცხვირი, ლურჯი ფერისაა, სახეზე არის საშინელი ტანჯვისა და ვედრების გამოხატულება

აზროვნება დიდხანს შენარჩუნებულია. თუ ადამიანს დროულად არ შევუყვანთ ორგანიზმში საჭირო ოდენობის წყალს და მარილებს, 90 პროცენტი სიკვდილით მთავრდება. ქოლერიანთა მკურნალობა დაამუშავა პაკისტანში ამერიკელმა მეცნიერმა ფილიპსმა, რომელმაც ავადმყოფთა გამონაყოფების შედგენილობის შესწავლის შემდეგ დაამზადა მსგავსი შემადგენლობის ხსნარი, რომლის შეყვანასაც ორგანიზმში განსაცვიფრებელი შედეგი მოჰყვა. ამ გამოკვლევის შემდეგ ქოლერას ფილიპსის ხსნარით მკურნალობენ, თუ მკურნალობა დროზე იქნა დაწყებული განკურნება ხდება 100 პროცენტით.

პროფილაქტიკური ღონისძიება პირველ ყოვლისა მიმართულია ინფექციის შემოტანის თავიდან აცილებისაკენ, რაც ხორციელდება ეპიდკონტროლის გაძლიერებით და დასახლებული ადგილის სანიტარულ-კომუნალური მდგომარეობის გაუმჯობესებით. თუ აღინიშნება ქოლერის გავრცელების საშიშროებით წარმოქმნილი ნაოჭები [illegible] ზაცია და [illegible] ოლოგიური გამოკვლევა ყველა ნაწლავური [illegible] ზიანი ავადმყოფებისა. ამასთან ტარდება ღონისძიებები დაავადების გამომწვევის მექანიკური გადამტანების—ბუზების წინააღმდეგ.

ი. კოპალიანი,
რაისანეპიდსადგურის ექიმი ეპიდემიოლოგი.

გთხოვთ, წერილის ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას ფონდში.

გმადლობთ სიკეთისათვის

მიმდინარე წლის 18 აგვისტოს ქალაქ ქუთაისიდან გამოვემგზავრე ავტობუსით „ქუთაისი-ცაგერი", რომელსაც მართავდა მძღოლი ალიოშა აბელას ძე ჩაფრავა. აღნიშნულ ავტობუსში დამრჩენია საფულე და ჩემთვის აუცილებელი საბუთები.

დანაკარგი რა თქმა უნდა, განვიცადე, მაგრამ მოკლე ხანში ავტობუსის მძღოლმა საფულე და ჩემი საბუთები უკლებლივ დამიბრუნა.

მსურს, მადლობა გადავუხადო მძღოლ ალიოშა ჩაფრავას იმ სიკეთისათვის, რაც მან ჩემდამი გამოიჩინა. მშვიდობიანი, უხიფათო ყოფილიყოს მისი მგზავრობის გზა.

ეთერ ახვლედიანი.
სოფ. ლასხანა.

გილოცავთ

გორის აკაკის ძე ხეცურიანს

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენს საყვარელ ცოლ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. სიხარული ნუ მოგაკლდებოდეთ!

ცაგერის კინოფიკაციის შრომითი კოლექტივი.

დინარა ვალიკოს ასულ სალინაძეს

გილოცავთ ძმისშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ჯანმრთელი, ბედნიერი, მშობლებისა და ერის საამაყო შვილი.

ნუნუ მამარდაშვილი, გუგული ხაბულიანი, ციცო ყურაშვილი, მერი გოგიძე, დარეჯან მუშკუდიანი.

გორის აკაკის ძე ხეცურიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, დიდხანს სიცოცხლეს.

დესნა სილაგაძე, დათო ხეცურიანი, ელგუჯა მდივანი, იუზა დაშნიანი, დათო გუგავა ოჯახებით.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ციცინო მოსეს ასულ ირემაძეს
დიტო ვაჟას ძე ჩაფრავას

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. შვილთა სიმრავლეს დაემშვენებინოს თქვენი ახლადშექმნილი ქართული ოჯახი.

ინეზა და ეკა გვიშიანები, მელანო სილაგაძე, კობა, ბერდია გულბანები.

შვილები ნორა, შალვა, ლედი, ედიშერი, ჟანვერი, რძლები ნაზი ობოლაძე, ლამარა ენდელაძე, მზია ბენიძე, სიძეები რეზო ჯიაძე, ზურიკო მერკვილაძე, შვილიშვილები ლალი, ლელა, ირმა, ელისო, თორნიკე, ონისე შვილთაშვილი ოთარი, დედმამიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სონა (სალომე) ბეგლარის ასული კოპალიანი.

დაკრძალვა 6 სექტემბერს, ხუთშაბათს, სოფ. ლუხვანოში

რძლები ვერა, დოდო, ნანა, ძმისშვილი ლოლა, სიძეები შოთა, მურთაზი, გენადი, ძმისშვილისშვილები დათო, მანდილო სალინაძეები მარინე, ზოია, ემზარ კოპალიანები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რაჟდენ ანდრიას ძე სალინაძე.

დაკრძალვა 4 სექტემბერს, სამშაბათს, 5 საათზე, ქ. ცაგერში.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს საშა თუთისანს ბიძის

გერონტი თუთისანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟანვერი სვანიძეს დედის

სონა ბეგლარის ასულ სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ნაზიკო მუშკუდიანს დედამთილის

გოგუცა ათრეყიანის

გარდაცვალების გამო.

ალპანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯიბილო რომანოზის ძე ფრუიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

კარლო მუშკუდიანი, ოთარ თვარაძე, ემზარ მდივანი, შოთა, ოთარ, ზურაბ ხაბულიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალენტინა ქარსელაძე-ბაკურაძე.

შოთა კოპალიანი, მურთაზ ამბროლიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რაჟდენ ანდრიას ძე სალინაძე.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3?,
ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, სამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №62, შეკვეთა 92 ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.